



ბრძანება

N 04/179

03/06/2019

179-01-4-201906031806



გადაწყვეტილება
2019 წლის 28 მარტის N01/362 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე
უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1 მომჩივანის პოზიცია

2019 წლის 28 მარტს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილ იქნა შპს „მბმ-ს“ (ს/ნ 201944977) საჩივარი (რეგ N01/362), სადაც მოპასუხე მხარეებად განისაზღვრნენ შპს „აისბერგი 2“, შპს „ზღვის პროდუქტები“, შპს „გეოფიშ კომპანი“, შპს „პალიასტომი 2004“ და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჩივარში აღნიშნულია, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, ასევე, ჩამოთვლილი კომპანიების მიერ არაერთგზის დაირღვა კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

საჩივარში აღნიშნულია, რომ შპს „მბმ“ წარმოადგენს თევზჭერის ლიცენზიის ერთ-ერთ მფლობელ კომპანიას, რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროა თევზჭერა, მოპოვებული რესურსების ექსპორტი, თევზის გადამამუშავება და მიღებული პროდუქციის საექსპორტო ბაზარზე გატანა.

მომჩივანის განცხადებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 16 იანვრის ბრძანებით ცვლილება შევიდა სააგენტოს უფროსის 2016 წლის 23 ივნისის №994/ს ბრძანების („შპს „მადაი“-ზე (ს/კ 204520973) 30.10.09 წ. გაცემული თევზჭერის N100016 ლიცენზიის შპს „მბმ“-ზე გადაცემის შესახებ“) დანართი №1-ში, რომლის თანახმადაც დანართის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს საქართველოში რეგისტრირებული არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემი და ერთი გადამზიდი გემი (ტრანსპორტერი). ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების

ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცდაორი) ერთეულით. ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანების №2 დანართით განსაზღვრული გემებით ზღვრულად დასაშვები რაოდენობის 22 ერთეულის გაზრდა შეთანხმებას არ საჭიროებს.

თ) ამ დანართის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობებისა და ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ყოველწლიურად არაუგვიანეს პირველი ნოემბრის წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი აუდიტორული მომსახურების გამწვევი იურიდიული პირის მიერ გაცემული დასკვნა“.

შპს „მბმ“ მიუთითებს, რომ აღნიშნული ცვლილებებით მოხდა ლიცენზიის პირობების ფუნდამენტური შეცვლა, რაც, მომჩივანის პოზიციით, არასამართლიანია და საზიანოა მისი კომპანიისთვის.

მომჩივანის განცხადებით, 2006 წელს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ლიცენზიანტ კომპანიებს აუქციონის სახით გადასცა 20 გემით სარგებლობის უფლება, კვოტის 100%-ში. ოთხმა კომპანიამ თანაბრად გადაიხადა 2 მილიონი ლარი, რომლის საფუძველზეც აუქციონის თითოეულ მონაწილე კომპანიას ერგო ლიცენზიის 25% და 5 გემი. მომჩივანის განცხადებით, 2006 წლის შემდგომ ლიცენზიის პროცენტი აღარ არის კავშირში გემების რაოდენობასთან, რაც წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან ზღვიდან თევზის ამოღება ხდება სწორედ გემის საშუალებით და გემის რაოდენობაზეა დამოკიდებული მოსაპოვებელი თევზების ოდენობა. შესაბამისად აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს უწყების მხრიდან ისეთი არასამართლიანი პირობების დადგენას, რომელიც ზღუდავს კონკურენციას.

შესაბამისად, მომჩივანის პოზიციით, უშუალოდ გემების რაოდენობა განსაზღვრავდა ლიცენზიის ფლობის საპროცენტო განაკვეთს.

შპს „მბმ“ აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ 2019 წლის 16 იანვრის N3/ს ბრძანებით 2016 წლის 23 ივნისის №994/ს ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად (რომლის მიხედვითაც გემების რაოდენობა გაიზარდა 20 ერთეულიდან 22 ერთეულამდე) გაიზარდა მოპასუხე კომპანიების ხვედრითი წილი ლიცენზიის ფლობის ნაწილში, კერძოდ, ცვლილებამდე არსებული მდგომარეობით 15 გემისა და შესაბამისად 75%-ის ლიცენზიის ნაცვლად ისინი ფლობენ 17 გემსა და შესაბამისად 77,3%-ს.

მომჩივანის პოზიციით, შპს „აისბერგი 2-ის“, შპს „ჯეოფიმ კომპანის“ და შპს „ზღვის პროდუქტების“ დათანხმება ლიცენზიის ახალ პირობებზე, წარმოადგენს მათი საკუთარი შემოსავლების შემცირების ხარჯზე, კონკურენტი კომპანიის - შპს „პალიასტომი 2004“-ის სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯს - რის შედეგადაც ამ უკანასკნელის გემების რაოდენობა გაიზარდა ორი ერთეულით. მსგავსი შეთანხმება კი, თავის მხრივ, კონკურენტების მიერ მისი კომპანიის საწინააღმდეგოდ და გასაკოტრებლად განხორციელებული გამიზნული ქმედებაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივანი მიუთითებს, რომ კონკურენტი კომპანიების მხრიდან იკვეთება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა - კერძოდ, არასამართლიანი სავაჭრო პირობების არაპირდაპირი დადგენა, რომელიც კონკურენტებს უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას.

მომჩივანი ასევე მიუთითებს, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან ადგილი აქვს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას, ვინაიდან სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის არანაირი ეკონომიკური სარგებლის მომტანი არ იყო და საქართველოს ზღვის აკვატორიისათვის 20 გემიც კი ზედმეტია.

შპს „მბმ“ ასევე აღნიშნავს, რომ 2017-2018 წელს ქაფშიის სეზონზე ითხოვდა კვოტას 30 000 ტონაზე, თუმცა, შესაბამისი რეაგირება მის მოთხოვნაზე განხორციელდა დროის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ და საბოლოოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მხოლოდ 8 000 ტონაზე.

მომჩივანის შეფასებით, მისი მოთხოვნის განხილვის პროცესში ადგილი ჰქონდა არაერთ პროცედურულ დარღვევას (მაგალითად, ის არასწორად იქნა განხილული 50 000 ტონის მოთხოვნად, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ იქნა წარდგენილი ექსპერტის (ა.ჩაშინი) დასკვნა 30 000 ტონის რელევანტურობაზე, რამაც ხელოვნურად გააჭიანურა პროცესი). ამდენად, მომჩივანის პოზიციით, გარემოს ეროვნული სააგენტოს რეალური მიზანი სწორედ საქმის ხელოვნურად შეყოვნება და მისთვის ზიანის მიყენება იყო.

მომჩივანი ასევე საუბრობს, გარემოს ეროვნული სააგენტოს უარზე, სადაც მისმა კომპანიამ მოითხოვა კვოტის გამოყოფა (თევზის სახეობა - პელამიდაზე). მომჩივანის პოზიციით აღნიშნული მოხდა კომპანიის დასაზიანებლად, ვინაიდან პელამიდა თევზის დაჭერა შესაძლებელია სარფში, სადაც მეზობელი ქვეყნის გემები (თურქეთი), მრავალი წელია თევზაობენ ამ სარეწო თევზზე და აღნიშნული თევზჭერა საფრთხის შემცველი არ არის გადაშენების მხრივ. მოპასუხის აზრით, კონკურენტი (მოპასუხე) კომპანიები ცდილობენ მისი კომპანიის გაკოტრებას საქმიანობის შეზღუდვით. სხვაგვარად მოპასუხისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა შეზღუდოს წარმოება ქვეყანაში სააგენტომ, როდესაც ამ პროცესის ხელშეწყობა მისი პირდაპირი მოვალეობაა. შესაბამისად, მომჩივანი სააგენტოს მხრიდან მიუთითებს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე.

შპს „მბმ“ ასევე მიუთითებს, რომ ადგილი აქვს საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციის (შემდგომში - ასოციაცია) თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების გადამეტებას, რაც გამოიხატება ფარული გარიგების დადებაში სხვა ლიცენზიანტ კომპანიებთან. კერძოდ, 2018 წლის პირველ ოქტომბერს ასოციაციამ გაუგზავნა წერილი სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, რომლის შინაარსი მის გარდა ყველა მისი კონკურენტისთვის იყო ცნობილი. წერილში ასოციაცია მიუთითებდა, რომ შპს „მბმ-ს“ აღებული ჰქონდა სესხი 7 900 000 აშშ დოლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელების მიზნით - რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს და ადგილი ჰქონდა მისი კომპანიის მიმართ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს - რაც წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

1.2 მოპასუხეების პოზიციები საჩივარში დასმულ საკითხებთან მიმართებით

- მოპასუხე N1 - შპს „აისბერგი 2“

2019 წლის 1 აპრილის წერილით (რეგ. N02/440) საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „აისბერგი 2-ს“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2019 წლის 19 აპრილს (რეგ: N01/483) წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ლიცენზიანტი კომპანიები არ არიან ერთმანეთის კონკურენტები და არ ეჯიბრებიან ერთმანეთს ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. თითოეულ მათგანს ლიცენზიის მოქმედების პერიოდში კანონით აქვს დადგენილი კვოტების შესაბამისი პროცენტული მოცულობები და თითოეულის მიზანია - რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები დანახარჯით მოხდეს მათი კუთვნილი კვოტის ათვისება (რადგან ამით მცირდება თვითღირებულება და იზრდება მოგება).

ამასთან, მოპასუხემ განმარტა, რომ ურთიერთსაწინააღმდეგოა მომჩივანი კომპანიის განმარტებები ლიცენზიის მფლობელი სხვა კომპანიების ჯამური წილების თაობაზეც, კერძოდ, მომჩივანი მიუთითებს, რომ მისი კონკურენტების ჯამური წილი არის 77.3% (მისი წილი პროპორციულად უნდა იყოს 22.7%) და თავადვე ამბობს, რომ 2017 -2018 წლებში თევზჭერის სეზონის საერთო კვოტიდან - 95 000 ტონიდან სრულად აითვისა მისი კუთვნილი 25% - ანუ 23 750 ტონა.

მოპასუხე განმარტავს, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ ვერ ახერხებს მომჩივანი წლების განმავლობაში მისი კვოტის ფარგლებში კუთვნილი 5 გემით კვოტის ათვისებას, ვინაიდან შპს „აისბერგი 2“ კუთვნილი 4 გემის ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში 3 გემით ახერხებს, რომ მოიპოვოს საკმარისი ოდენობის თევზი.

ამასთან, სავარაუდო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მათ მიერ მოსყიდვა ვერანაირად ვერ მოხდებოდა და საჩივარში დაფიქსირებული გარემოებები არ შეესაბამება სიმართლეს.

ამდენად, მოპასუხის პოზიციით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სააგენტომ უარი უნდა უთხრას შპს „მზმ-ს“ მოკვლევის დაწყებაზე, რადგან საჩივარში დაფიქსირებული ბრალდებები არის აბსურდული და არ არსებობს მოკვლევის დაწყების კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

- მოპასუხე N2 - შპს „ზღვის პროდუქტები“

2019 წლის პირველი აპრილის წერილით (რეგ. N02/439) საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „ზღვის პროდუქტებს“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2019 წლის 19 აპრილს (წერილი N01/484) წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით. მოპასუხემ განმარტა, რომ ახალი სალიცენზიო პირობები და თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადის 2036 წლამდე გაგრძელების საკითხი შეთანხმებული იყო ყველა

ლიცენზიანტთან და პროცესში აქტიურად იყო ჩართული მომჩივანიც (მან, ისევე როგორც სხვა კომპანიებმა წარადგინა მოსაზრებები განკარგულების პროექტთან დაკავშირებით). შესაბამისად, მისი პოზიციით, შპს „მბმ-ს“ ბრალდება, რომ მასთან შედარებით სხვა ლიცენზიანტები უკეთეს პირობებში არიან ჩაყენებულები და მის წინააღმდეგ ადგილი აქვს ფარულ გარიგებას - მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მოპასუხემ განმარტა, რომ ლიცენზიის პროცენტსა და გემების რაოდენობას შორის კავშირი არ არის და ყველა კომპანია მისთვის დადგენილი ამოსაღები კვოტის ფარგლებში მუშაობს, შესაბამისად სხვა კომპანიას სხვისი თევზის რესურსის მოპოვების შესაძლებლობა არ აქვს. ამასთან, მოპასუხისთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს გემების რაოდენობას გადასახადებთან, ვინაიდან კომპანიები გადასახადს იხდიან წარმატებული თუ წარუმატებელი თევზჭერის სეზონის მიუხედავად, მათთვის დადგენილი ამოსაღები კვოტისა და მათ მფლობელობაში არსებული ლიცენზიის პროცენტული ოდენობის შესაბამისად.

შპს „ზღვის პროდუქტების“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია შპს „მბმ-ს“ მიერ 790 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების შესახებ, ასოციაციამ წარადგინა სავარაუდოდ მომჩივანთან შეთანხმებით ან ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას. ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ ასოციაციის წერილში კომპანია „მბმ“ მოხსენიებული იყო, როგორც ერთ-ერთი წარმატებული კომპანია და არანაირ კრიტიკას ან კომპანიის დისკრედიტაციის მცდელობას არ ჰქონია ადგილი.

ამდენად, მოპასუხის პოზიციით, მომჩივანის მიერ საჩივარში დაფიქსირებული გარემოებები წარმოადგენს საფუძველს მოკლებულ ბრალდებებს და სააგენტომ არ უნდა დაიწყოს საქმის მოკვლევა.

- **მოპასუხე N3 - შპს „გეოფიშ კომპანი“**

2019 წლის პირველი აპრილის წერილით (რეგ. N02/438) საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „გეოფიშ კომპანის“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2019 წლის 22 აპრილს (წერილი N01/488) წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით. მოპასუხის პოზიციით, ლიცენზიანტი კომპანიები არ არიან ერთმანეთის კონკურენტები, რადგან ბაზარზე თევზჭერის შესაბამისი მოცულობები კანონმდებლობით აქვთ დადგენილი და საქმიანობას ახორციელებენ მათი კვოტების პროპორციულად.

მოპასუხემ განმარტა, რომ კუთვნილი კვოტა გამოყოფილი აქვს ყველა ლიცენზიანტს და მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს ქაფშიის მოპოვება, ქარხნის მოდერნიზაცია და არა ისეთი ქმედების განხორციელება, რაც მათი მხრიდან შეიძლება არაკეთილსინდისიერ კონკურენციად იქნეს შეფასებული.

მოპასუხის განმარტებით, ბრალდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართ, თითქოსდა სააგენტო მიზანმიმართულად ცდილობს შპს „მბმ-ის“ კონკურენტების ხელშეწყობას, რომ ამით გამოიწვიოს მომჩივანი კომპანიის გაკოტრება - უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან სააგენტოს საქმიანობა რეგულირებულია კანონით და კანონითვე განისაზღვრება მისი უფლებამოსილების ფარგლები.

მოპასუხის პოზიციით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, სააგენტომ უარი უნდა უთხრას მომჩივანს მოკვლევის დაწყებაზე, რადგან არ არსებობს მოკვლევის დაწყების კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

- **მოპასუხე N4 - შპს „პალიასტომი 2004“**

2019 წლის პირველი აპრილის წერილით (რეგ. N02/437) საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „პალიასტომი 2004-ს“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2019 წლის 19 აპრილს (წერილი N01/485) წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით. მოპასუხემ განმარტა, რომ სადავო ბრძანება ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2570 განკარგულებას - სწორედ აღნიშნული განკარგულებით განისაზღვრა ლიცენზიანტებისათვის თევზსაჭერი გემების ზღვრული დასაშვები ოდენობის 20-დან 22 ერთეულამდე გაზრდა. ხაზგასასმელია, რომ მომჩივანს სადავოდ არ გაუხდია მთავრობის აღნიშნული განკარგულება - ამდენად, გაუგებარია მომჩივანის პრეტენზიები საჩივარში მითითებულ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებთან.

მოპასუხემ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გემების რაოდენობა ვერ მოახდენს გავლენას თევზჭერის კვოტაზე - მიუხედავად იმისა, თუ რამდენი გემი ეყოლება ლიცენზიანტს, კომპანია უფლებამოსილია მოიპოვოს თევზი მხოლოდ მისი კვოტის ფარგლებში.

მოპასუხის პოზიციით, მომჩივანის ბრალდება - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით არის უსაფუძვლო. ამასთან, მოპასუხემ ხაზი გაუსვა, რომ შპს „პალიასტომი 2004-ს“ აქვს საერთო კვოტის 14,055%, ხოლო, ჯამურად, მოპასუხე ლიცენზიანტ კომპანიებს აქვთ 75%. ამდენად, არ არის დაკმაყოფილებული „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ჯგუფური დომინირების განმსაზღვრელი წინაპირობები.

შპს „პალიასტომი 2004-ის“ წარმომადგენლის განცხადებით, სრულიად გაუგებარია მომჩივანის მიერ საჩივარში დასმული საკითხი, რომ თითქოსდა მომჩივანის სესხის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა მისმა კომპანიამ ან სხვა ლიცენზიანტმა. ეს არის მხოლოდ მომჩივანის ვარაუდი და არ ეფუძნება რეალურ ფაქტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს მიაჩნია, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს საჩივრის დასაშვებობის კანონით დადგენილ მოთხოვნებს და არ არსებობს მოკვლევის დაწყების საფუძველი.

- **მოპასუხე - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

2019 წლის პირველი აპრილის წერილით (რეგ. N02/442) საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

მოპასუხე უწყებამ 2019 წლის 11 აპრილს წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ: N01/433) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით. სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ

განმარტა, რომ 2019 წლის 16 იანვარს №3/ს ბრძანებით ცვლილება შევიდა სააგენტოს უფროსის 2016 წლის 23 ივნისის №994/ს ბრძანების დანართ №1-ის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს საქართველოში რეგისტრირებული არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემი და ერთი გადამზიდი გემი (ტრანსპორტერი). ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცდაორი) ერთეულით. ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანების №2 დანართით განსაზღვრული გემებით ზღვრულად დასაშვები რაოდენობის 22 ერთეულის გაზრდა შეთანხმებას არ საჭიროებს.

თ) ამ დანართის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობებისა და ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ყოველწლიურად არაუგვიანეს პირველი ნოემბრისა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის მიერ გაცემული დასკვნა“.

მოპასუხის პოზიციით, მოცემულ შემთხვევაში გემების რაოდენობის გაზრდა, უპირატესად განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ ყოველწლიურად იზრდება მოპოვებული რესურსის ოდენობა. მართალია, გემების დღეს არსებული რაოდენობა დადგენილი კვოტის მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისების საშუალებას იძლევა, მაგრამ საკმარისი არ არის კვოტის სრულად ათვისებისთვის. შესაბამისად, მოპასუხემ განმარტა, რომ სარეწაო ფლოტის ადექვატური სიმძლავრეების არსებობა დარგისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა შეზღუდულ დროსა და არეალში გახდეს შესაძლებელი კვოტით განსაზღვრული რესურსის ათვისება.

მოპასუხის პოზიციით, დღეს არსებული გემების ზღვრული ოდენობა საკმარისი არ არის კვოტის სრულად ათვისებისათვის. ეროვნულმა სააგენტომ, საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ლიცენზიანტთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებითა და მათ სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, განახორციელა შესაბამისი ცვლილებები, რომლის საფუძველზეც ლიცენზიის მფლობელი კომპანიები სრულად მოახერხებენ დადგენილი კვოტების ფარგლებში რესურსის დაუბრკოლებლად ათვისებას.

მოპასუხე მხარემ ასევე ყურადღება გაამახვილა საჩივარში დასმულ საკითხზე, რომელიც შეეხებოდა მომჩივანი პირის მიერ მოთხოვილი კვოტის გაზრდის მოთხოვნის უარყოფის და სააგენტოს მიერ მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტის დასკვნის გაუთვალისწინებლობის ბრალდებას და განმარტა, რომ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო შავ ზღვაში არსებული ბუნებრივი რესურსის მარაგს და კვოტებს თავად განსაზღვრავს კომპეტენციის ფარგლებში. შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხდება რისკების შეფასება. მოცემულ შემთხვევაში, უწყების პოზიციით, კვოტის გაზრდაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება რისკებთან იყო დაკავშირებული, რადგან მნიშვნელოვანი იყო თევზის ახალი გენერაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა დარგის განვითარებისათვის.

1.3 სააგენტოს მიერ მოძიებული დამატებითი ინფორმაცია

გარემოს ეროვნული სააგენტოსა და მოპასუხედ დასახელებული ეკონომიკური აგენტების მიერ პოზიციის წარმოდგენის შემდგომ, გარკვეული საკითხების დაზუსტებისა და ამ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოდგენის მიზნით, სააგენტომ 2019 წლის 17 აპრილის №02/508 წერილით მიმართა მომჩივანს, რაზეც 2019 წლის 6 მაისს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა საპასუხო წერილი (რეგ: №01/537). აღნიშნულ წერილში წარმოდგენილია მომჩივანის პოზიცია მოპასუხეების მოსაზრებებთან მიმართებით, მაგრამ სააგენტოს დასმულ შეკითხვებზე, სათანადო პასუხები და მოთხოვნილი მტკიცებულებები არ მიუღია.

ასევე, 2019 წლის №02/509 წერილით, საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციას საჩივარში დასმულ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში ეთხოვა პოზიციის წარმოდგენა, რომელზეც 2019 წლის 8 მაისს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა საპასუხო წერილი (რეგ: №01/544). აღნიშნულ წერილში წარმოდგენილია ასოციაციის პოზიცია მომჩივანის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. ასოციაციის აზრით, საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება და საჩივრის საფუძვლიანობის დადასტურება. პირიქით, წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ კონკურენციის კანონმდებლობის არანაირ დარღვევას კომპანია „მბმ-სთან“ მიმართებაში ადგილი არ ჰქონია.

გარდა ამისა, სააგენტოს 2019 წლის №02/510 წერილით, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა თევზჭერის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული ელექტრონული აუქციონის შედეგების, გაცემული ლიცენზიების, ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და მასში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დოკუმენტაცია. წერილი ასევე მოიცავდა რამდენიმე დამაზუსტებელ შეკითხვას. 2019 წლის 6 მაისს სააგენტოში წარმოდგენილ იქნა საპასუხო კორესპონდენცია (რეგ: №01/531). გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიუთითა, რომ საჩივარში დასმული საკითხები მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს დაუდასტურებელ თეორიულ მოსაზრებებს, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევად.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების

დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონი კრძალავს ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ამასთან, კანონი „დომინირებულ მდგომარეობას“ განმარტავს, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად. არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია.

კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნეულია შემდეგი ქმედებები: შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა; წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა; გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისათვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათო არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება; ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობების დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან და სხვა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სხვა ქმედებებთან ერთად, ეკრძალებათ:

ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი);

ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

კანონის მე-11³ მუხლის მიხედვით, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. დასახელებული მუხლის მეორე პუნქტის მიზნებისათვის კი არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, კერძოდ: ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს; ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში

უპირატესობის მიღწევა; გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია; დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება; ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება; ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულვებელყოფით იმოქმედოს; ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს მათ კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, დაიწყოს საქმის მოკვლევა. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამის მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, ხოლო უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მოცემულობა

შპს „მბმ“-ის მიერ წარმოდგენილ საჩივარში საუბარია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების დარღვევაზე; ხოლო, შპს „აისბერგი 2-ის“, შპს „ჯეოფიშ კომპანის“, შპს „ზღვის პროდუქტების“ და შპს „პალიასტომი 2004-ის“ მიერ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევაზე.

საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე, სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სტანდარტს.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. სააგენტოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით,¹ დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა (შემდგომში - „კომისია“) და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - „მართლმსაჯულების სასამართლო“) მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.² ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.³ მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული

¹ სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 28 მარტის N04/76 ბრძანება; სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 იანვრის N04/11 ბრძანება; სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N25 ბრძანება და სხვ.

² Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), § 11.

³ იქვე, § 12.

ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.⁴ ამასთან მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით დასაშვებობის ეტაპზე კომისიის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ის ფაქტები და სამართლის ის ნორმები, რომლებზეც აპელირებენ მომჩივანი მხარეები.⁵

TFEU 81-ე და 82-ე მუხლების (დღეს მოქმედი შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლები) შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ ევროკომისიის ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმის⁶ მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძველით შეუძლია მისი უარყოფა.“

შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო პირველ რიგში ამოწმებს მოკვლევის დასაწყებად საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები აკმაყოფილებს თუ არა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

სააგენტო ასევე ხელმძღვანელობს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით, საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველის არარსებობა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დასაწყებად აუცილებელია, სახეზე იყოს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი. სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, იმ მატერიალური ნორმების არსებობას, რომელიც შესაძლოა ირღვეოდეს საჩივარში მითითებული ქმედების შედეგად.

მსგავს საკანონმდებლო ნორმებს კი მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-10 მუხლის „გ“ და „ბ“ პუნქტები და მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

3.2. კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

3.2.1. ზოგადი მიმოხილვა

განსახილველი საჩივარი ეხება კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევას, რაც მომჩივანის განმარტებით გამოიხატება არასამართლიანი სავაჭრო პირობების დადგენასა და ბაზრის/წარმოების შეზღუდვაში.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,

⁴ ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990TJ0024&from=EN>.

⁵ ECJ Case C-119/97, 04.03.1999, § 86. იხ. <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-119/97>;

⁶ ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა, ხოლო, ამავე „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად - წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები მიჩნეულ იქნეს მოკვლევის დაწყების შესაბამის საკანონმდებლო საფუძველად, აუცილებელია, დასაშვებობის ეტაპზე არსებობდეს იმის ალბათობა, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა აღნიშნული ნორმის დისპოზიციასში. ხოლო, იმისათვის, რომ სახეზე იყოს კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ქმედება, აუცილებელია შემდეგი ორი ძირითადი წინაპირობის კუმულატიურად არსებობა: 1) ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და 2) აღნიშნული დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შესაბამისად, დასახელებული ნორმის დარღვევა კი სახეზეა მაშინ, როდესაც ქმედება ხორციელდება დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაშვებობის ეტაპზე, კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში სააგენტოს შეფასების უმთავრეს საგანს წარმოადგენს ის, თუ რამდენადაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე დასახელებული ორი წინაპირობის კუმულატიურად არსებობის მინიმალური ალბათობა მაინც.

3.2.2. შესაბამისი ბაზარი

3.2.2.1. ზოგადი მიმოხილვა

კონკრეტული სუბიექტის დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის აუცილებელია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა. „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-3 ბრძანების (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

3.2.2.2. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-7 მუხლის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. საქონლის პროდუქციული, ტერიტორიული საზღვრები დადგინდება ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით. შესაბამისი ბაზრის

პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები განხილულ უნდა იქნეს, როგორც მომხმარებლის, ასევე, მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით. აღნიშნული მიდგომა გამოიყენება შესაბამისი ბაზრის შეფასებისას, როგორც ბაზრის სტრუქტურის, საბაზრო ძალაუფლების, ისე, ანტიკონკურენციული ქმედების დადგენის შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც მომჩივანი, ასევე მის მიერ დასახელებული მოპასუხე ეკონომიკური აგენტები წარმოადგენენ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად თევზჭერის ლიცენზიის მფლობელ კომპანიებს (აღნიშნული ლიცენზიის კვოტებით გათვალისწინებულია ასათვისებელი თევზის შესაბამისი ზღვრული ოდენობა.). დავის საგნიდან გამომდინარე, რომელიც ეხება ლიცენზიის ახალ წილობრივ გადანაწილებას, შესაბამის პროდუქციულ ბაზარს წარმოადგენს ლიცენზიით გათვალისწინებული თევზჭერის ბაზარი.

3.2.2.3. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-10 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

სააგენტომ მიიჩნია, რომ შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარს წარმოადგენს თევზჭერის ლიცენზიით განსაზღვრული, თევზჭერის საქმიანობისათვის განკუთვნილი საქართველოს საზღვაო აკვატორია.

3.2.2.4. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №423 დადგენილება „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრავს თევზჭერის ვადებს, შესაბამისად ბაზრის დროითი ჩარჩო იცვლება მოსაპოვებელი თევზის სახეობების მიხედვით და პერიოდები განსაზღვრულია კანონმდებლობით.

3.2.3. დომინირებული დგომარეობა

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-6 მუხლის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის არსებობა. კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა,

რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

კანონი ასევე ითვალისწინებს ჯგუფური დომინირების შემთხვევას, კერძოდ - ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

- არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;
- არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

მართლმსაჯულების სამართლოს განმარტებით (საქმე 27/76 United Brands Company v Commission), დომინირებული მდგომარეობა ფორმირდება რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობით, მაშინ, როდესაც ცალკე აღებული ფაქტორი დომინირებული მდგომარეობის დადგენისათვის შესაძლებელია არ იყოს გადამწყვეტი.⁷

თუმცა, ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილია. ამდენად, იმის დასადგენად, მოპასუხეს უკავია თუ არა დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, უნდა მოხდეს ლიცენზიით გათვალისწინებული თევზჭერის ბაზარზე მისი საბაზრო წილის განსაზღვრა.⁸

სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის⁹ საფუძველზე დადგინდა, რომ ლიცენზიით გათვალისწინებული თევზჭერის ბაზარზე თავად შპს „მზმ“ ფლობს - 25%-ს, შპს „ზღვის პროდუქტები“ - 21,771%-ს, შპს „ისბერგი 2“ - 20%-ს, შპს „გეოფიშ კომპანი“ - 19,174%-ს, შპს „პალიასტომი 2004“ - 14,055%-ს. ამ მოცემულობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ თითოეული ლიცენზიანტის (ეკონომიკური აგენტის) წილი შესაბამის ბაზარზე

⁷ 66-ე პარაგრაფი

⁸ აღნიშნული მიდგომა ასევე გამოყენებულია კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 23 იანვრის N04/15 ბრძანებაში.

⁹ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილი №21/1161; 03/05/2019 (რეგ: №01/531;06/05/2019).

მნიშვნელოვნად ჩამორჩება კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტში მოცემულ 40 პროცენტთან ნიშნულს.

ამასთან, არ იკვეთება სხვა ისეთი გარემოება, რომელიც თითოეულ მათგანს საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია, რადგან თითოეული ლიცენზიანტი მოქმედებს მათთვის კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული სალიცენზიო კვოტის ფარგლებში. ამდენად, არც ერთ ლიცენზიანტ კომპანიას არ უკავია დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე (აღსანიშნავია, რომ ბაზარზე ყველაზე მეტი პროცენტული წილი უკავია თავად მომჩივანს).

რაც შეეხება კანონის მე-3 მუხლის „ი.ბ“ ქვეპუნქტით ჯგუფური დომინირების დადგენის წინაპირობებს - ხაზგასასმელია, რომ კანონისმიერი დანაწესის მიხედვით, ეკონომიკური აგენტების ერთობლივი წილი 80%-ს უნდა აღემატებოდეს და ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15%-ს უნდა წარმოადგენდეს - ამდენად, ამ ჭრილშიც - მოპასუხე ლიცენზიანტები ვერ აკმაყოფილებენ 80%-იანი წილის კრიტერიუმს, ვინაიდან მათი ჯამური წილი ლიცენზიით გათვალისწინებული თევზჭერით ბაზარზე 75%-ს შეადგენს (დანარჩენი 25%-ის მფლობელი თავად მომჩივანია).

შესაბამისად, სააგენტო მიუთითებს, რომ კანონის მე-6 მუხლის ორი წინაპირობიდან პირველი არ არის დაკმაყოფილებული (ეკონომიკური აგენტის/აგენტების დომინირებული მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე). კონკურენციის კანონმდებლობისა და სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის¹⁰ მიხედვით კი, შეუძლებელია სახეზე იყოს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იმ ეკონომიკური აგენტების მხრიდან, რომლებიც შესაბამის ბაზარზე არ ფლობენ დომინირებულ მდგომარეობას (შპს „ზღვის პროდუქტები“ – 21,771%, შპს „აისბერგი 2“ – 20%, შპს „გეოფიშ კომპანი“ – 19,174%, შპს „პალიასტომი 2004“ – 14,055%).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, ვინაიდან სახეზე არ არის დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი (არც დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების ჯგუფი). შესაბამისად, საჩივრის ამ ნაწილში არ არსებობს მოკვლევის დაწყების კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი, რაც კანონის 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს.

¹⁰ „კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 13 ნოემბრის №178 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 მარტის №43 ბრძანება.

3.3. კანონის მე-10 მუხლის საგარეუდო დარღვევა

3.3.1. ზოგადი მიმოხილვა

მომჩივანი აპელირებს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტის დარღვევაზე, რაც გამოიხატა სააგენტოს უფროსის 2019 წლის 16 იანვრის ბრძანებით 2016 წლის 23 ივნისის №994/ს ბრძანების დანართი №1-ში შეტანილი ცვლილებით ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესებაში, რომლებიც მას კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას.

საჩივარში ასევე დასმულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 26 იანვრის N21/435 გადაწყვეტილების შეუსაბამობის საკითხი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ პუნქტთან, რაც გულისხმობს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვის, შეჩერების ან/და სხვაგვარად შეფერხების დაუშვებლობას.

3.3.2. სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, როგორც კანონის მე-10 მუხლის ადრესატი

„კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი აკრძალვის ადრესატებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის ადრესატად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად კი მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან, ხოლო სამინისტრო იქმნება მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

„მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის №2-255 ბრძანების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო არის

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შემოდინიშნულის გათვალისწინებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი დაწესებულება და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ექცევა კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს“ ცნებაში და წარმოადგენს ამ ნორმის ადრესატს.

3.3.3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 16 იანვარს N 3/ს ბრძანების მიმართება კანონის მე-10 მუხლთან

მომჩივანი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 16 იანვარს N3/ს ბრძანებით გაიზარდა ლიცენზიით გათვალისწინებული გემების ზღვრული ოდენობა 20 ერთეულიდან 22 ერთეულამდე, რამაც გამოიწვია ლიცენზიის პირობების არსებითი შეცვლა წილობრივი გადანაწილების კუთხით, რითაც მას უშუალო ზიანი მიადგა, ვინაიდან მისი წილი ლიცენზიის ფლობის ნაწილში რეალურად შემცირდა, ხოლო კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისა - გაიზარდა.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ გემების რაოდენობა და ლიცენზიის წილობრივი ფლობა უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, შესაბამისად მისი წილის შემცირება გამოიწვია გემების ზღვრული ოდენობის გაზრდამ, რადგან ცვლილებამდე არსებული მდგომარეობით, როდესაც გემების ოდენობა განსაზღვრული იყო 20 ერთეულით, თითოეული გემის ყოლა გულისხმობდა ლიცენზიის 5%-ის ქონას, ხოლო ცვლილების შემდგომი მოცემულობით (22 ერთეულით) ლიცენზიის ფლობის ხვედრითი წილი მისი კომპანიისათვის შემცირდა (ვინაიდან ისევ უცვლელად ფლობს 5 გემს).

როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 16 იანვრის სადავო ცვლილებით, თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვრა 22 (ოცდაორი) ერთეულით (უცვლელი დარჩა ის წინაპირობა, რომლითაც გემებით ზღვრულად დასაშვები რაოდენობის გაზრდა შეთანხმებას არ საჭიროებს.). დასახელებული სადავო პირობის შინაარსი გულისხმობს, რომ ლიცენზიანტებს, ლიცენზიით სარგებლობის პერიოდში, განესაზღვრათ გემების ის ზღვრული ოდენობა, რომლითაც მათ უნდა განეხორციელებინათ თევზჭერითი საქმიანობა. ამასთან დათქმა იმის შესახებ, რომ „გემებით ზღვრულად დასაშვები რაოდენობის გაზრდა შეთანხმებას არ საჭიროებს“ გულისხმობს იმას, რომ ლიცენზიანტები თავად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას გემების გადანაწილებისა და ოდენობის გაზრდის შესახებ.

სააგენტო მიიჩნევს, რომ განსახილველი სადავო პირობა შესაძლებელია შეფასდეს კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და

ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, სააგენტო დამკვიდრებული პრაქტიკის¹¹ გათვალისწინებით, განმარტავს ნორმაში გამოყენებული სიტყვათშეთანხმებას - „სხვა შეღავათი“ და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შეღავათად განხილულ უნდა იქნას ნებისმიერი შეღავათი, რომელიც ეკონომიკურად ხელსაყრელი შეიძლება იყოს ეკონომიკური აგენტისათვის. ვინაიდან ნორმა არ აკონკრეტებს ამ ტერმინს, ასეთად შეიძლება განხილულ იქნას როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური შეღავათი ან უფლების მინიჭება. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 16 იანვარს N3/ს ბრძანებასთან მიმართებით სააგენტო აფასებს - მოხდა თუ არა რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის აღნიშნული ბრძანებით, სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით, რაიმე ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობების შექმნა, რამაც საბოლოო ჯამში შეზღუდა ბაზარზე კონკურენცია.

სააგენტომ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი - მის მიერ განხორციელებული ცვლილებებისა და დავის საგანთან დაკავშირებული მასალების შესწავლის შედეგად, დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ცვლილებები ლიცენზიის ვადის გაგრძელებასთან და პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, თანაბრად გავრცელდა თევზჭერის ლიცენზიის მფლობელ ყველა კომპანიაზე. ასევე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ მე-7 მუხლის შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან აღნიშნული ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, რომელმაც, თავის მხრივ, 2018 წლის 31 დეკემბრის N2570 განკარგულებით თანხმობა მისცა გარემოს ეროვნულ სააგენტოს შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სალიცენზიო პირობების შეცვლის თაობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, სალიცენზიო პირობების ცვლილება შეეხო ბაზარზე მოქმედ ხუთივე კომპანიას (მომჩივანის ჩათვლით). შესაბამისად, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაზრდა და ლიცენზიით სარგებლობის პერიოდში ზღვრულად დასაშვები გემების ოდენობის გაზრდილი ოდენობით სარგებლობის შესაძლებლობა, თანაბრად გავრცელდა ბაზარზე მოქმედ ყველა ეკონომიკურ აგენტზე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ცვლილებით, ისევე როგორც ცვლილებამდე პერიოდში, ლიცენზიანტის მიერ ზღვრული ოდენობის ფარგლებში გემების რაოდენობის გაზრდა არ საჭიროებდა სააგენტოსთან შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, ლიცენზიანტებს თავად უნდა ეზრუნათ გემების რაოდენობრივ გადანაწილებაზე.

¹¹ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 30 სექტემბრის N168 ბრძანება.

უწყების ბრძანებით არ მომხდარა ბაზრის რომელიმე კონკრეტული სუბიექტისათვის გემების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, არამედ განისაზღვრა/გაიზარდა ზოგადად ლიცენზიანტების საერთო მფლობელობაში არსებული გემების ზღვრული ოდენობა.

გასათვალისწინებელია, რომ „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება: „შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზის რესურსებით სარგებლობისათვის – არა უგვიანეს ყოველი წლის 15 ივლისისა, თევზჭერის ყოველწლიური კვოტიდან თევზჭერის ლიცენზიით განსაზღვრული პროცენტის შესაბამისად მოსაპოვებელი თევზის რესურსის სრული ოდენობით“, ხოლო „რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასური გადაიხდება: „შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზის რესურსით (ქაფშით) სარგებლობისთვის – თევზჭერის ყოველწლიური კვოტიდან ლიცენზიით გათვალისწინებული პროცენტის მიხედვით მოსაპოვებელი თევზის რესურსის (ქაფშითის) სრული ოდენობის შესაბამისად, თანაბარ ნაწილებად, წელიწადში ორჯერ – არაუგვიანეს 31 იანვრისა და 31 ივლისისა“.

ზემოაღნიშნულ ნორმატიულ რეგულირებასთან ერთად, სალიცენზიო ხელშეკრულებების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ლიცენზიის გაცემის დღიდან, ლიცენზიის შესაბამისი წილი დამოკიდებული იყო ლიცენზიანტებისათვის განსაზღვრული კვოტების ოდენობაზე და მასზე არანაირ გავლენას არ ახდენს ეკონომიკური აგენტების მფლობელობაში არსებული გემების რაოდენობა. ასევე, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ლიცენზიანტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურებულია ის ფაქტი, რომ კომპანიების მიერ არაერთხელ განხორციელდა გემების ოდენობის ცვლილება, მათ შორის, გადაცემა კონკურენტი ეკონომიკური აგენტისათვის - რასაც დამოუკიდებლად არ მოუხდენია არანაირი გავლენა მათი ლიცენზიის ხვედრით წილზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელსა და რეგულირების საფასურს კომპანიები იხდიან სწორედ მოსაპოვებელი თევზის რესურსის სრული ოდენობიდან (მიუხედავად იმისა, თუ რამდენის ათვისება შეძლეს) და ამ საკითხთან გემების რაოდენობას არავითარი პირდაპირი კავშირი არ აქვს.

შესაბამისად, აშკარაა, რომ გემების ზღვრული ოდენობის ცვლილება, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა ბაზარზე კომპანიების მიერ უპირატესობის მოპოვებაზე. აღნიშნული დასკვნა ცალსახად გამომდინარეობს ზემოთ განხილული საკანონმდებლო მოწესრიგებიდან და შესაბამისი ხელშეკრულებებიდან. რაც შეეხება კონკრეტული სუბიექტისათვის აღნიშნული გადაწყვეტილებით რაიმე ეკონომიკური უპირატესობის მინიჭებას, რომელიც მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დისპოზიციიდან გამომდინარე ქმედების დარღვევის დადგენისათვის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გემების ოდენობის ზღვრული ზრდა მიმართული იყო არა რომელიმე კონკრეტული კომპანიის, არამედ ზოგადად ყველა ლიცენზიანტის მიმართ და

ამ ნაწილში გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის უპირატესობის მინიჭების ფაქტი არ იკვეთება.

შესაბამისად, სააგენტო მიუთითებს, რომ საქმის მასალების ანალიზი არ წარმოშობს კანონის მე-10 მუხლი „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის სავარაუდო ფაქტის არსებობის გონივრული ეჭვს, რადგან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული შესაბამისი ცვლილება თანაბრად აისახა ყველა ლიცენზიანტის სალიცენზიო პირობებზე და რომელიმე ეკონომიკური აგენტის მიმართ შერჩევითი დამოკიდებულების ან უპირატესობის მინიჭების მცდელობა არ იკვეთება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ამ ნაწილში ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

3.3.4. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 26 იანვრის N21/435 გადაწყვეტილებისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 1 ნოემბრის N21/4580 წერილის მიმართება კანონის მე-10 მუხლთან

მომჩივანი აპელირებს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 26 იანვრის N21/435 გადაწყვეტილებით „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ პუნქტის დარღვევაზე - რაც გულისხმობს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვას, შეჩერებას ან/და სხვაგვარად შეფერხებას. მომჩივანი სადავოდ ხდის გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების როგორც შინაარსობრივ (უარი კვოტის გაზრდაზე), ასევე მისი გონივრულ ვადაში მიღების (გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება) საკითხს და მიიჩნევს, რომ მის მიერ მოთხოვნილი კვოტების გაზრდაზე უარის თქმა მიმართული იყო უშუალოდ მისი კომპანიის დასაზიანებლად.

სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კვოტის გაზრდას ითხოვდა არა მხოლოდ მომჩივანი, არამედ ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტი და სააგენტოში კვოტის გაზრდაზე მოთხოვნა წარდგენილ იქნა არა კონკრეტულად რომელიმე ლიცენზიანტი კომპანიის, არამედ, საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციის მიერ, კერძოდ:

2017 წლის 28 დეკემბერს სსიპ-გარემოს ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციის თავმჯდომარემ და მოითხოვა „შავ ზღვაში 2017-2018 წლებისათვის სამრეწველო თევზჭერის მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 29 სექტემბრის N1539/ს ბრძანებით დამტკიცებული შავ ზღვაში 2017-2018 წლებისათვის დადგენილი კვოტების ოდენობის 50 000 ტონით გაზრდა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 იანვრის N2-21 ბრძანების შესაბამისად შექმნილმა სამრეწველო თევზჭერის მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტებით (თევზის) სარგებლობის კვოტების გაზრდის მიზანშეწონილობის შემსწავლელმა კომისიამ რეკომენდაციის სახით, მიზანშეუწონლად მიიჩნია საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციის თავმჯდომარის

მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან კომისიის N1 ოქმში აღნიშნული იყო, რომ საკითხი დაყენებული იყო თევზჭერის კვოტის 50 000 ტონით გაზრდის შესახებ, რაზედაც კომისიამ უარყოფითი რეკომენდაცია გასცა. შესაბამისად, სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N21/435 გადაწყვეტილებით ასოციაციას უარი ეთქვა ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ასოციაციის თავმჯდომარის მიერ გასაჩივრებული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2018 წლის 30 იანვარს და დაზუსტებული ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილ იქნა 2017-2018 წლის თევზჭერის სეზონისათვის კვოტის 30 000 ტონით გაზრდა (ამ დროისათვის ასოციაციას უკვე გააჩნდა დარგის ექსპერტის შესაბამისი დასკვნა, რომელიც ჩატარდა 2018 წლის 26-29 იანვრის პერიოდში). ამასთან მის მიერ წარდგენილ იქნა საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის - ა. ჩაშინის დასკვნა 30 000 ტონის გაზრდის მართებულობაზე. აღნიშნული საჩივარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 6 თებერვლის N2-49 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაევალა, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N21/435 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ და გაეზარდა ქაფშიის არსებული კვოტა 8 000 ტონით. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 9 თებერვლის N17/ს ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N21/435 გადაწყვეტილება და ქაფშიის არსებული კვოტა გაიზარდა 8 000 ტონით.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 26 იანვრის N21/435 გადაწყვეტილებაში განხილულ იქნა მხოლოდ კვოტის 50 000 ტონის ზრდის საკითხი. სააგენტო განმარტავს, რომ ასოციაციის მიერ არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტის დასკვნა, რომელიც მიუთითებდა იმ დროისათვის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, კვოტის ალტერნატიული ოდენობით გაზრდის შესაძლებლობაზე. ამასთან, განცხადებაში დასმული კონკრეტული კვოტის ოდენობიდან გამომდინარე, შესაბამისი კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაცია ეხებოდა, მხოლოდ 50 000 ტონით კვოტის გაზრდის საკითხს. შესაბამისად, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ იმსჯელა მხოლოდ განცხადებაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, არ გასცდენია მის ფარგლებს და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რაც თანაბრად მიემართებოდა ასოციაციაში შემავალ ყველა სუბიექტს და არა მხოლოდ მომჩივანს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებასთან მიმართებით (რითაც შესაძლოა სახეზე იყო კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება - ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება) აუცილებელია გათვალისწინებული იქნას საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ვადები. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა 2017 წლის 28 დეკემბერს ასოციაციის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე (რეგ.N7323, 29.12.17) გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება 2018 წლის 26 იანვარს (N21/435). შესაბამისად, უწყების სააგენტოს მხრიდან დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (სზაკ. მუხლი 100) გათვალისწინებული 1 თვიანი ვადა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამრეწველო თევზჭერის მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტებით (თევზის) სარგებლობის კვოტების გაზრდის მიზანშეწონილობის შემსწავლელი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, რაც იმას გულისხმობდა, რომ აღნიშნული კომისიის მიერ რეკომენდაციის მომზადებისა და საკითხის შესწავლისათვის ასევე აუცილებელი იყო გონივრული ვადა. შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტო მის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას ხელმძღვანელობდა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებით და ამ ნაწილში კომპანიის საქმიანობის შეფერხების მცდელობა არ იკვეთება.

რაც შეეხება საჩივარში დასმულ მეორე საკითხს, თევზის სახეობა პელამიდაზე კვოტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მომჩივანი მიუთითებს, რომ მას განხორციელებული ჰქონდა შესაბამისი სამუშაოები პელამიდას მოპოვების კუთხით, თუმცა 2018-2019 წლის თევზჭერის სეზონისათვის განსაზღვრულ თევზის კვოტების ჩამონათვალში აღნიშნული თევზი არ იყო. მომჩივანის მიერ წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც მან გარემოს ეროვნული სააგენტოსაგან მოითხოვა ის რეკომენდაციები და დასკვნები, რომლის მიხედვითაც პელამიდა არ მოხვდა თევზის კვოტების ჩამონათვალში და ასევე თხოვნით მიმართა სააგენტოს, აღნიშნული თევზის კვოტის დამატების შესახებ. მომჩივანმა აღნიშნა, რომ მას პირადად ჰქონდა საუბარი გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამის წარმომადგენლებთან, თუმცა, მიუხედავად ამისა, მისთვის მაინც არ მომხდარა პელამიდაზე კვოტის გამოყოფა. მომჩივანი მიუთითებს, რომ ხსენებული კორესპონდენციისა და საკითხის განხილვის პერიოდში თევზის ათვისების პერიოდი უკვე გასული იყო.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან მომჩივანს 2018 წლის 18 ოქტომბრის წერილის პასუხად 2018 წლის 1 ნოემბერს განემარტა 2018-2019 წლებისათვის სამრეწველო თევზჭერის მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტების დამტკიცების ბრძანების კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები და ასევე ის ფაქტი, რომ 2018 -2019 წლებისათვის სარგებლობის კვოტები განსაზღვრული იყო გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 ოქტომბრის N143/ს ბრძანებით, რომელიც მიღებული იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის დასკვნების საფუძველზე.

ხაზგასასმელია, რომ ხსენებული საკითხის გადაწყვეტა (განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება თუ მასზე უარის თქმა) წარმოადგენს გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომელიც, თავის მხრივ, ამ უფლებამოსილებას ახორციელებს მის სამოქმედო კანონმდებლობაზე დაყრდნობით. როგორც აღინიშნა, მოპასუხემ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის

დასკვნები და მის შესაბამისად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი. კონკურენციის სააგენტო ვერ შეაფასებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას, თუ იგი წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან, კერძოდ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლთან, რომელიც, სააგენტოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკის^{12 13 14} მიხედვით, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოებისთვის დაწესებული დისკრეციული უფლებამოსილების ერთ-ერთ ზღვარს. მოცემული ქმედების შემთხვევაში კი არ იკვეთება კონკურენციის კანონმდებლობის აღნიშნული ნორმის დარღვევის ნიშნები, ვინაიდან სახეზე არ არის ეკონომიკური აგენტების მიმართ გარემოს ეროვნული სააგენტოს დისკრიმინაციული და არათანაბარი მიდგომა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ საქმის მასალების შესწავლისა და მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, არ იკვეთება გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხების ფაქტი. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, საჩივარი ამ ნაწილში ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

3.3.5. შუალედური დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. შესაბამისად, არ არსებობს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის დაწყების საფუძველი, რაც ამ ნაწილში საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

3.4. სააგენტოს შეფასება კანონის მე-11³ მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

3.4.1. ზოგადი მიმოხილვა

წარმოდგენილ საჩივარში მომჩივანი მხარე აპელირებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების - შპს „აისბერგი 2-ის“, შპს „ჯეოფიმ კომპანის“, შპს „ზღვის პროდუქტების“ და შპს „პალიასტომი 2004-ის“ კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია).

¹² საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 აგვისტოს №04/216 ბრძანება.

¹³ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 აპრილის №45 ბრძანება.

¹⁴ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 5 სექტემბრის №04/248 ბრძანება.

კანონის მე-11³ მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირებისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად, კუმულატიურად არსებობა:

ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;

ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს;

დ) სახეზე უნდა იყოს ამავე მუხლის მეორე პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტით განსაზღვრული კონკრეტული ქმედება.

ამდენად, ამა თუ იმ ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, კანონმდებელი ზოგად კრიტერიუმებთან ერთად განსაზღვრავს იმ სპეციალურ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მოხდება ამა თუ იმ ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად კვალიფიკაცია. თავის მხრივ, აღიშნული ქმედებები ამომწურავია და მოცემულია კანონის მე-11³ მუხლის მეორე პუნქტში.

როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივანი აპელირებს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების დარღვევაზე, რაც გულისხმობს:

- ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვას და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევას - „ბ“ ქვეპუნქტი;

- ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვას (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტაციას - „გ“ ქვეპუნქტი;

- შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვას, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულვებელყოფით იმოქმედოს - „ვ“ ქვეპუნქტი.

ამდენად, იმის დასაგენად, იკვეთება თუ არა მოცემულ შემთხვევაში კანონდარღვევის გონივრული ეჭვი, სააგენტოს მიერ საჩივარი შეფასდა კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის ზემოაღნიშნული კონკრეტულ ქმედებებთან მიმართებაში.

3.4.2. კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

როგორც საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, სალიცენზიო პირობების შეცვლისა და ლიცენზიის მოქმედების ვადის 2036 წლამდე გაგრძელების საკითხის სამართლებრივი დარეგულირების თხოვნით და პროცესის ორგანიზების მიზნით, ლიცენზიანტმა კომპანიებმა თავად მიმართეს საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციას, რომელსაც, თავის მხრივ, ჰქონდა კომუნიკაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან.

აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო მომჩივანი ეკონომიკური აგენტიც. ასოციაციას კომუნიკაცია ჰქონდა ყველა ლიცენზიანტთან, ამასთან, ყველა კომპანიას მიწოდებული ჰქონდა ინფორმაცია სალიცენზიო პირობების შესახებ და ეს პირობები იყო ყველასთვის იდენტური. ასოციაციის თავმჯდომარემ ლიცენზიის მფლობელ კომპანიებს თავიდანვე გააცნო გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიცია იმის შესახებ, რომ შავ ზღვაში

თევზჭერის ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ყველა ლიცენზიანტ კომპანიას ერთნაირი პირობა დაუდგინდებოდა და ადგილი არ ექნებოდა რომელიმე ლიცენზიანტისათვის რაიმე სახის უპირატესობის მინიჭებას. ამასთან, კომპანიებს, რომლებიც უარს იტყოდნენ ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე ან/და სალიცენზიო პირობების შეცვლაზე, შეეძლოთ საქმიანობა გაეგრძელებინათ ძველი სალიცენზიო პირობებით.

აღნიშნულ პროცესში იქნა მომზადებული მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც მოსაზრებებისთვის არაერთხელ გაეგზავნა ყველა ლიცენზიანტ კომპანიას - პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია წარადგინა ასევე მომჩივანმა კომპანიამაც.

საბოლოოდ, ასოციაციის მიერ ყველა ლიცენზიანტი კომპანიის სახელით განხორციელდა ერთიანი მოთხოვნის წარდგენა სალიცენზიო პირობების შეცვლაზე და განსხვავებული მიდგომა არ დაფიქსირებულა რომელიმე ლიცენზიანტი კომპანიის მიმართ. თუმცა, ეს პროცესი წარმოადგენდა ორგანიზაციულ და მოსამზადებელ სამუშაოს და უკვე შემდგომში ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამდენად, ცალსახაა რომ პროცესის მონაწილე ყველა ლიცენზიანტი კომპანია, მათ შორის მომჩივანიც, ინფორმირებული იყო ზემოაღნიშნული პროცესის შესახებ. მეორე მხრივ, მომჩივანის მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები, თუ რაში გამოიხატებოდა კონკურენტი კომპანიების ფარული გარიგება და გარიგების რა მიზნის დაფარვას ჰქონდა ადგილი მის მიმართ.

მომჩივანი აღნიშნული ქვეპუნქტის დარღვევად ასევე მოიაზრებს ასოციაციის მიერ სააგენტოში 30 000 ტონის ნაცვლად 50 000 ტონაზე კვოტის გაზრდის მოთხოვნას და აპელირებს, რომ ასოციაციის მიერ შეგნებულად იქნა დაყენებული მოთხოვნა 50 000 ტონის თაობაზე და აღნიშნული რაოდენობის მოთხოვნა არ შეესაბამებოდა მაშინ არსებული მდგომარეობას. ამას ამტკიცებს მომჩივანი ეკონომიკურია აგენტის მიერ მოწვეული ექსპერტიც (ა. ჩაშინი), რომელიც დასაშვებ ოდენობად მოიაზრებდა 30 000 ტონას.

წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით, მოთხოვნის განმხილველი უწყების - სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ქმედებაზე სააგენტომ იმსჯელა კანონის მე-10 მუხლის ჭრილში. რაც შეეხება უშუალოდ ლიცენზიანტი კომპანიების ქმედების მიმართებას კანონის მე-11³ მუხლთან - რომ ეს მოთხოვნა სპეციალურად იქნა არასწორად წარდგენილი - უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანი კომპანია ფარული გარიგების დადების ერთ-ერთ მთავარ სუბიექტად მოიაზრებს საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციას, რომელიც წარმოდგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს და რომლის წევრიც არის თავად მომჩივანიც და მის მიერ წარმოდგენილი მასალებიც უკავშირდება უშუალოდ ასოციაციის მიერ განხორციელებულ ქმედებებსა და მიმოწერას.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირებისათვის, აუცილებელია კანონის მე-11³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზოგადი და კონკრეტული კრიტერიუმების არსებობა. ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს კონკურენტთა ინტერესების შელახვის პირობა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, პოტენციური ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური

აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

ამდენად, კანონისმიერი რეგულირების გათვალისწინებით, ასოციაცია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, არ წარმოადგენს მომჩივანი კომპანიის არც კონკურენტ და არც პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს - რადგან არ მოქმედებს შესაბამის - **ლიცენზიით გათვალისწინებული თევზჭერის ბაზარზე**. ამდენად, მისი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის მიერ ვერ განხორციელდებოდა კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი.

რაც შეეხება უშუალოდ ასოციაციის წევრი კომპანიების მიერ განხორციელებული ქმედების მიმართებას კანონის მე-11³ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან - მომჩივანი კომპანიის მიერ ფაქტობრივ გარემოებებზე დასახელებულ ქმედებებში (მისი განმახორციელებელი სუბიექტის მიუხედავად - ასოციაცია თუ ლიცენზიანტი) არ იკვეთება, თუ რაში გამოიხატება მათ მიერ „გარიგების ნამდვილი მიზნის“ დაფარვა, რა ქმედების განხორციელებას ჰქონდა ადგილი, რომელიც მიზნად ისახავდა მომჩივანთან შედარებით კონკურენციული უპირატესობის მიღწევას - მაშინ, როდესაც სალიცენზიო პირობების ცვლილების შესახებ მომჩივანი იყო ინფორმირებული, ჩართული იყო ადმინისტრაციული წარმოების პროცესშიც და სალიცენზიო პირობების ცვლილება ყველა მათგანს თანაბრად შეეხო.

რაც შეეხება კვოტის გაზრდის მიზნით განხორციელებულ ქმედებას - კვოტის გაზრდა ყველა ლიცენზიანტი კომპანიის ინტერესებში შედიოდა და მომჩივანი ვერ ადასტურებს, თუ რა უპირატესობა შეიძლებოდა მოეპოვებინათ კონკურენტ კომპანიებს და რატომ უნდა ეთხოვათ ასოციაციისთვის გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარედგინა 30 000 ტონის მოთხოვნის ნაცვლად 50 000 ტონაზე მოთხოვნა - როგორც უკვე აღინიშნა, კვოტის გამოყოფა არ ხდება რომელიმე კონკრეტული კომპანიისთვის და ყველა ლიცენზიანტი კომპანიის ინტერესებში შედის, რომ მათ მიერ შესაბამისი ორგანოს წინაშე დასმული საკითხი იყოს გონივრული და მიზნის მისაღწევი ადექვატური საშუალება.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ წინამდებარე ქვეპუნქტის მიზნებისათვის, „გარიგების ნამდვილი მიზნის დაფარვას“ კონკურენტი კომპანიის საზიანოდ ადგილი უნდა ჰქონდეს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში - მაშინ როდესაც სალიცენზიო პირობების ცვლილების და კვოტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ არა მომჩივანის კონკურენტი ეკონომიკური აგენტები, არამედ, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო და ამ პროცესში სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს არა გარიგებას, არამედ მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ამდენად, მომჩივანის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები არ ექცევა განსახილველი ქვეპუნქტის შემადგენლობაში. თავის მხრივ, მომჩივანი კომპანიის მიერ, რომელიც არის მხარე და რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი, ვერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული და დასაბუთებული მტკიცებულებები და არ იქნა იდენტიფიცირებული

ისეთი სახის გარემოებები, რომელიც წარმოშობდა გონივრულ ეჭვს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მისი კონკურენტების მიერ „გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვას“.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ **საჩივარი ამ ნაწილში ვერ აკმაყოფილებს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.**

3.4.3. კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი

როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე ქვეპუნქტი კრძალვას ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვას (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტაციას. კომპანიის ან მისი პროდუქტის დისკრედიტაცია და რეპუტაციის შელახვა, კი შესაძლებელია, განხორციელდეს რამდენიმე გზით - მათ შორის, კომპანიის პროდუქციის შესახებ არამართებული და ნეგატიური ცნობების გავრცელებით, ან კომპანიის იმიჯის შელახვით.

მომჩივანის პოზიციით, მისი კომპანიის რეპუტაციის შელახვა გამოიხატა ასოციაციის მიერ არასწორად გავრცელებულ განცხადებაში - მისი კომპანიის მიერ 7 900 000 აშშ დოლარის განხორციელებული ინვესტიციებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ. ამდენად, მომჩივანი სადავოდ ხდის ასოციაციის მიერ გაკეთებულ განცხადებას და არ აპელირებს ასოციაციის წევრი რომელიმე მოპასუხე კომპანიის მიერ ანალოგიური შინაარსის წერილის გავრცელებაზე.

როგორც კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე მსჯელობისას აღინიშნა, კანონისმიერი რეგულირების გათვალისწინებით, ასოციაცია, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, არ წარმოადგენს მომჩივანი კომპანიის არც კონკურენტ და არც პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს - რადგან არ მოქმედებს შესაბამის - **ლიცენზიით გათვალისწინებული თევზჭერის ბაზარზე.** ამდენად, მისი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის მიერ ვერ განხორციელდებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი.

ამასთან, მომჩივანი არ სვამს საკითხს მისი კონკურენტი კომპანიების მიერ ანალოგიური შინაარსის წერილის გავრცელებაზე და არც წარმოადგენს სხვა მტკიცებულებებს, თუ კიდეც რაში შეიძლება გამოიხატებოდეს შპს „მზმ“-ს რეპუტაციის შელახვა.

ამდენად, ამ ნაწილში სააგენტო ვერ შეაფასებს ასოციაციის ქმედებს კონკურენციის კანონის მე-11³ მუხლის ჭრილში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ 2018 წლის 1 ოქტომბრის წერილში შპს „მზმ“ ერთ-ერთ წარმატებულ კომპანიად არის დასახელებული, ხოლო, წერილი ასევე ითვალისწინებს ინფორმაციას სხვა ლიცენზიანტი კომპანიების ფინანსური ვალდებულებების შესახებაც.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ **საჩივარი ამ ნაწილში ვერ აკმაყოფილებს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.**

3.4.4. კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი

მომჩივანი ასევე აპელირებს მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევაზე, თუმცა, არ წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციას და მტკიცებულებებს, თუ კონკრეტულად რომელი კონკურენტი კომპანიის თანამშრომლის მოსყიდვას შეიძლება ჰქონდეს ადგილი და რა სახის ქმედებაში შეიძლება გამოიხატოს აღნიშნული ქვეპუნქტის დარღვევა.

როგორც უკვე აღინიშნა, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მომჩივანი წარმოადგენს მხარეს და მას ეკისრება მტკიცების ტვირთი - რაც გულისხმობს, რომ მის მიერ უნდა იქნეს მოწოდებული ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რა სახის ფაქტობრივი გარემოების შეფასებას ითხოვს სააგენტოსგან და უნდა იქნეს წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები - რასაც არ ჰქონია ადგილი საჩივრის დასაშვებობის შესწავლის პროცესში. ამდენად, წინა მსჯელობების ანალოგიურად, ამ ნაწილშიც არ არის დაკმაყოფილებული დარღვევის გონივრული ეჭვის სტანდარტი, კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ამ ნაწილში ვერ აკმაყოფილებს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

ამასთან, მოსარჩელის მიერ დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოშობს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის სხვა ქვეპუნქტებით განსაზღვრული არც სხვა რომელიმე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სპეციალური შემადგენლობის ჩადენის გონივრულ ეჭვს და არ ექცევა სხვა ქვეპუნქტების შემადგენლობაში.

3.4.5. შუალედური დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. შესაბამისად, არ არსებობს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის N30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის დაწყების საფუძველი, რაც ამ ნაწილში საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-10 და მე-11³ მუხლების, 17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანების შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „მბმ-ს“ 2019 წლის 28 მარტის №01/362 საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე

